საქართველოს მძლეოსნობის ეროვნული ფედერაცია

უსაფრთხოების პოლიტიკა

safeguarding@geoathletics.ge

სარჩევი

უსაფრთხოების პოლიტიკა 3
შესავალი 3
პოლიტიკის განცხადება ვალდებულებებისა და პრინციპების შესახებ 4
განმარტებები 6
პოლიტიკის ფარგლები 10
პრობლემის შესახებ მოხსენება 11
მოხსენების პროცედურა 13
ქცევის კოდექსი 14
სამუშაოზე მიღება 14
ტრენინგი და განათლება 15
დისციპლინარული წარმოება 15
პოლიტიკის გადახედვა 15
მონიტორინგი 16
უსაფრთხოების წესები 17
ზოგადი პირობები 17
ფარგლები 17
აკრძალული ქმედებები 18
საქმის მართვის ჯგუფი 19
გამოძიება და რისკის შეფასება 20
სანქციები 21
გასაჩივრება 23
გადაწყვეტილებები 24
ქცევის კოდექსი 26
მწვრთნელები და სპოტსმენების სხვა დამხმარე პერსონალი 27
სპორტსმენები 28
სპორტსმენის მშობლები და მზრუნველები 29
უსაფრთხოების პოლიტიკის მოხსენების პროცედურა 30
უსაფრთხოების პოლიტიკის მოხსენების ფორმა 31

უსაფრთხოების პოლიტიკა

შესავალი

1.1. საქართველოს მძლეოსნობის ეროვნული ფედერაცია (შემდგომში - ფედერაცია) პასუხისმგებელია მძლეოსნობის სფეროს განვითარებისა და ცნობიერების ამაღლებაზე საქართველოს მასშტაბით; ფედერაცია, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, ასევე ხელი შეუწყოს უსაფრთხო გარემოს შექმნას ბავშვებისთვის და ახალგაზრდებისთვის, რათა განავითარონ თავიანთი ნიჭი და მიაღწიონ დასახულ მიზნებს; ეს ყოველივე უნდა იყოს სახალისო და სასიამოვნო გამოცდილება. ეს უსაფრთხოების პოლიტიკა (შემდგომში - პოლიტიკა) ადგენს საქართველოს მძლეოსონობის ეროვნული ფედერაციის პასუხისმგებლობას და უზრუნველყოფს **ბავშვებისა და მოზარდების** მძლეოსობაში უსაფრთხოთხო მონაწილეობას;

ამ პოლიტიკის დაცვა და მასში შემავალი საუკეთესო პრაქტიკის პრინციპების ხელშეწყობა საშუალებას აძლევს ფედერაციას უზრუნველყოს და შექმნას უსაფრთხო, ბედნიერი და შთამაგონებელი გარემო საკუთარი თემისათვის, რათა ისიამოვნონ და მიიღონ მონაწილეობა მძლეოსნობაში.

ძალადობა შეიძლება განხორციელდეს მამაკაცების, ქალების ან ბავშვების მიერ. ეს ხდება მსოფლიოს ყველა სფეროში, ნებისმიერ სპორტსა თუ ორგანიზაციაში. ვერც ერთი სივრცე ვერ შეძლებს იდენთიფიცირდეს ასეთი გარემოებისგან თავისუფლად ან დაცულად მისი ზემოქმედებისგან. ძალადობა, შევიწროება და ექსპლუატაცია ხდება მაშინ, როდესაც არსებობს ძალაუფლების დისბალანსი ინდივიდებს შორის; როდესაც ერთი პირი უფრო ძლევამოსილ მდგომარეობაშია, მათ შეუძლიათ ისარგებლონ ამით და სახეზე იყოს ძალადობა, შევიწროება ან ექსპლუატაცია. რაც უფრო მოწყვლადია პირი ასაკის, შეზღუდული შესაძლებლობის, ფინანსების ან სტატუსის გამო, მით უფრო დიდია ალბათობა იმისა, რომ ის იყოს ძალადობის, შევიწროების ან ექსპლუატაციის ობიექტი.

პოლიტიკის განცხადება ვალდებულებებისა და პრინციპების შესახებ

ფედერაციას სჯერა, რომ მძლეოსნობაში ყველა იმსახურებს პატივისცემითა და ღირსეულ მოპყრობას და აქვს უფლება იყოს თავისუფალი ნებისმიერი შეურაცხყოფის, შევიწროებისა და

ექსპლუატაციისგან. ფედერაცია ამ პოლიტიკის ფარგლებში დაიცავს ყველას ასეთი ქცევისგან. ფედერაციას სჯერა, რომ ეს უფლება აქვს ნებისმიერ პირს მისი რასის, ფერის, ასაკის, შეზღუდული შესაძლებლობის, სქესის, გენდერული იდენტობის, სექსუალური ორიენტაციის, ეთნიკური წარმომავლობის, რელიგიისა თუ მრწამსის მიუხედავად. ფედერაცია მოწოდებულია თავიდან აიცილოს შეურაცხყოფა, შევიწროება ან ექსპლუატაცია მათ მიმართ, ვინც ხვდება ამ პოლიტიკის ფარგლებში და შექმნას უსაფრთხო გარემო ყველასთვის, რომ მიიღონ მონაწილეობა და ისიამოვნონ სპორტით მათი შესაძლებლობების ფარგლებში. სპორტსმენები, მწვრთნელები (ამ ტერმინით ჩვენ ვგულისხმობთ სპორტსმენის ყველა დამხმარე პერსონალს), ოფიციალური პირები, მოხალისეები და გამგეობის წევრები დაცული არიან ამ პოლიტიკით; მათ უნდა გააცნობიერონ როგორც თავიანთი უფლებები, ასევე მოვალეობები ამ საკითხებში.

პრინციპები რომლებსაც ეს პოლიტიკა ეყრდნობა:

- **ყველას** აქვს უფლება მოეპყრონ მას ღირსეულად და პატივისცემით და იყოს თავისუფალი დისკრიმინაციისგან, იქნება ეს სქესის, რასის, ასაკის, ეთნიკური წარმომავლობის, შესაძლებლობების, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობის, მრწამსის, რელიგიური თუ პოლიტიკური კუთვნილების საფუძველზე.
- **ყველას** აქვს უფლება მიიღოს მონაწილეობა, ისარგებლოს და პიროვნულად განვითარდეს მძლეოსნობის საშუალებით უსაფრთხო, ინკლუზიურ გარემოში ყოველგვარი ძალადობის, შევიწროებისა ან ექსპლუატაციისგან თავისუფალ გარემოში.
- **ყველას, ბავშვსაც და ზრდასრულსაც,** აქვს უფლება, იქნას მოსმენილი, განსაკუთრებით, თუ განსახილველი საკითხი ეხება საკუთარ ან სხვა პირის კეთილდღეობას. **ყველამ** უნდა იცოდეს ვის მიმართოს დასახმარებლად, როცა აწუხებს პირის ქცევა.

- **ყველა** პასუხისმგებელია ბავშვების დაცვაზე და ზრუნვაზე, გადაწყვეტილებების მიღებისას გათვალისწინებულ იქნას ბავშვის საუკეთესო ინტერესი, რამეთუ მათი კეთილდღეობა უმთავრესია.

ამ ყველაფრის მისაღწევად ფედერაცია:

- აღიარებს თავიანთი გამგეობის წევრების პასუხისმგებლობას ამ პოლიტიკის განხორციელებასა და აღსრულებაზე და დანიშნავს „უსაფრთხოების ოფიცერს“, რომელიც გაითვალისწინებს ამ პოლიტიკის პრინციპებს მათი პროგრამების ყველა ასპექტში;
- სახელობითად გამოყოფს თანამშრომელს ან მოხალისეს, რომელიც პასუხისმგებელია „დაცვის ოფიცრის“ მიერ დადგენილი უსაფრთხოების პოლიტის გაძღოლაზე;
- დარწმუნდება რომ ყველასთვის ცნობილია ამ თანამშრომლის / მოხალისის არსებობა, რომელსაც შეუძლიათ მიმართონ განსაცდელის შემთხვევაში ან თუ ცნობილია სხვა პიროვნების და მათი ქმედების შესახებ;
- უზრუნველყოს, ყველამ იცოდეს მათი უფლებები და იმ პროცესების შესახებ, რომელიც მოჰყვება პრობლემას, ასეთის გაჩენის შემდგომ;
- აწარმოოს და განახორციელოს პოლიტიკა და პროცედურები, მათ შორის, ქცევის კოდექსები, წესები და დისციპლინარული პროცედურები და განაახლოს ისინი საჭიროებისამებრ;
- უზრუნველჰყოს ყველას მხარდაჭერა და ხელმძღვანელობა, ვისაც ეს სჭირდება პრობლემის, საჩივრის ან ბრალდებების წარმოშობის შემდეგ;
- იზრუნოს პერსონალისა და მოხალისეების განათლებასა და გადამზდებაზე, თუ როგორ უნდა მოგვარდეს პრობლემები და საჩივრები;
- განიხილოს ყველა პრობლემა, ბრალდება და საჩივარი სამართლიანად, გამჭვირვალედ, დროულად და ეფექტურად, რაც უზრუნველყოფს ყველა საჩივრის რეგულარულად განახლებას;
- განახორციელოს ყველა გამოძიება და გადაწყვეტილება ისე, რომ უზრუნველყოფილი იყოს დამოუკიდებლობის შესაბამისი დონე, რათა უზრუნველყოფილი იყოს მიუკერძოებული მიღებული ანგარიშის ან რისკის შეფასებაში;
- მოეპყრას პრობლემის, საჩივრის ან ბრალდებების შესახებ ყველა ინფორმაციას კონფიდენციალურად (კანონით ნებადართულ ფარგლებში) და დაიცვას უსაფრთხოება;

- გადაამზადოს შესაბამისი თანამშრომელი თუ მოხალისე რათა ჩაატარონ ისტორიის შემოწმება, დააკვირდნენ მითითებებს და უზრუნველყონ მხოლოდ შესაფერისი ადამიანების დანიშვნა; და
- იმუშავებს ადგილობრივ სააგენტოებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და სათემო ჯგუფებთან, რომლებიც უზრუნველყოფენ დახმარებას და ხელმძღვანელობას სოციალური სერვისებისთვის, რათა უზრუნველყონ ყველა ადამიანის უსაფრთხოება.

განმარტებები

ძალადობა, შევიწროება და ექსპლუატაცია

ძალადობა, შევიწროება და ექსპლუატაცია აღწერილია ქვემოთ. ისინი შეიძლება განხორციელდეს როგორც მამაკაცის, ისე ქალის მხრიდან და ხშირად იქ, სადაც ერთ მხარეს მეორეზე უპირატესი ძალაუფლება გააჩნია. როდესაც ურთიერთობაში ერთ პირს აქვს ძალაუფლება მეორეზე, ამან შეიძლება გამოიწვიოს სიტუაციები, რომლის დროსაც ძალადობა უფრო მარტივია. მოწყვლადი პირები უნდა იყვნენ დაცულები და ხელმძღვანელმა პირებმა უნდა უზრუნველყონ შესაბამისი უსაფრთხოების ზომების გატარება. ასევე მნიშვნელოვანია გვესმოდეს, რომ მწვრთნელებზე, ოფიციალებზე ან მოხალისეებზეც შესაძლოა მოხდეს ძალადობა.

ფსიქოლოგიური ძალადობა არის მიუღებელი ქმედება, მათ შორის შეურაცხყოფა, დამცირება, უარყოფა, შეპყრობა, იზოლაცია, სიტყვიერი შეურაცხყოფა, დამცირება, დაშინება, ინფანტილიზაცია ან ნებისმიერი სხვა ქცევა, რამაც შეიძლება დააკნინოს პირის იდენტობის, ღირსების ან თვითშეფასების გრძნობა. ეს ერთ-ერთი ყველაზე მეტად გავრცელებულია ძალადობის სახეობების შორის. ხშირად შესაძლებელია გამოვლინდეს / წარმოდგენილ იქნას როგორც ბულინგის ასევე კიბერბულინგის სახით.

ფიზიკური შეურაცხყოფა არის ნებისმიერი განზრახი ან შემთხვევითი / არასასურველი ქმედება, მაგალითად, წიხლი, ცემა, კბენა ან დაწვა, რომელიც იწვევს დაზიანებას ან ფიზიკურ ზიანს. ეს შეიძლება მოიცავდეს ალკოჰოლის იძულებით მოხმარებას ან დოპინგის სისტემატურ პრაქტიკას. ეს ასევე შეიძლება იყოს ნებისმიერი იძულებითი ან შეუსაბამო ფიზიკური აქტივობა, როგორიცაა ვარჯიში, რომელიც შეუფერებელია სპორტსმენის ასაკსა და ფიზიკურ

მონაცემებთან. იძულებითი ან გადაჭარბებული ვარჯიში შესაძლოა არ იყოს ადვილად შესამჩნევი სპორტულ გარემოში და მიჩნეულ იქნას, როგორც სპორტსმენებისა და მწვრთნელების ამბიციებად. ასევე თანატოლების ზეწოლამ შეიძლება აიძულოს ერთი ან ორივე პიროვნება დააკისროს ან აიღოს ზედმეტი ვარჯიშისა და/ან შეჯიბრის ვალდებულებები. სპორტსმენებსა და მწვრთნელებს შორის დიალოგი, რომელიც მიზნად

ისახავს ორმხრივად შეთანხმებული და მისაღწევი მიზნების დასახვას, დაგეხმარებათ განსაზღვროთ ტოლერანტული და მისაღები სავარჯიშო მოთხოვნები. მწვრთნელებზეა

დამოკიდებული იმ ამბიციების შერბილება, რაც შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს სპორტსმენის ჯანმრთელობას და კეთილდღეობას.

სექსუალური ძალადობა არის სექსუალური ხასიათის ნებისმიერი ქცევა, კონტაქტური (პენეტრაციული ან არაპენეტრაციული) ან არაკონტაქტური, სადაც თანხმობა არ არის გაცემული, არ შეიძლება გაცემული, იძულებითი ან მანიპულირებით. ეს შეიძლება მოიცავდეს ინდივიდებს, რომლებიც უყურებენ ან ქმნიან სექსუალურ სურათებს, უყურებენ სექსუალურ აქტივობებს, წაახალისებენ სხვებს, რომ მოიქცნენ სექსუალურად შეუსაბამოდ ან იყოლიებენ პირს ძალადობის მომზადებისთვის.

დაყოლიება არის პროცესი (ონლაინ თუ პირადად), რომლის დროსაც პირი ამყარებს ურთიერთობას სპორტსმენთან, წაახალისებს ნდობაში შესვლის მიზნით რათა დამყოლიებელმა შეძლოს მანიპულირება და სპორტსმენთა გამოყენება საკუთარი სარგებლისთვის. სპორტსმენის ოჯახის, გარემოცვისა და მეგობრების დაყოლიება ხშირად აიძულებს ამ ადამიანებს ირწმუნონ, რომ დამყოლიებელი სანდო პიროვნებაა, რაც საშუალებას აძლევს დამყოლიებელს ჰქონდეს უფრო ახლო წვდომა სპორტსმენთან. სპორტსმენის მანიპულირებით და ურთიერთობის გამოყენებით, ისინი აიძულებენ სპორტსმენს დაიჯერონ, რომ უნდა შეასრულონ დამყოლიებლის მოთხოვნები. ზეგავლენა, რომელიც დამყოლიებელს აქვს სპორტსმენზე, გამოიყენება მეგობრებისა და ოჯახისგან მისი იზოლირებისთვის, ვინაიდან მათ შეიძლება გააფრთხილონ პიროვნება და აიძულონ სხვაგვარად / ან საერთოდ არ შეასრულონ დამოყოლიებლის მოთხოვნები.

შევიწროება არის არასასურველი ან მიუღებელი ქცევა, რომელიც შეურაცხყოფს ან აიძულებს ადამიანს გრძნობდეს თავს დამცირებულად ან დაშინებულად. ძალადობრივი შევიწროება არის ის, როდესაც ადამიანი, რომელიც უპირატეს პოზიციას იკავებს სხვა ინდივიდზე

ჩვეულებრივ სამუშაო ადგილზე, იყენებს ამ ძალადობრივ უპირატესობას ფიზიკურად ან ფსიქოლოგიურად შევიწროებისთვის სხვა დაბალ თანამდებობაზე მყოფ ადამიანზე. ძალაუფლებრივი შევიწროება შეიძლება მოიცავდეს გარიყვას, შეუსაბამო სამუშაო

დავალებების მიცემას (ძალიან მცირე, ძალიან ბევრი ან უფრო დაბალი დონის, რომელიც მისაღებია) და ინტრუზიულ ქცევებს.

სექსუალური შევიწროება არის სექსუალური ხასიათის ნებისმიერი არასასურველი ან შეუსაბამო ქცევა, იქნება ეს ვერბალური, არავერბალური თუ ფიზიკური. სიტყვიერი სექსუალური შევიწროების მაგალითები მოიცავს არასასურველ ან დამამცირებელ ინტიმურ კითხვებს, რომლებიც ეხება სხეულს, ტანისამოსს ან პირად ცხოვრებას, ხუმრობას სექსუალური მინიშნებებითა და წინადადებებით ან მოთხოვნებს სექსუალური აქტების შესახებ. ეს შეიძლება იყოს არასასურველი ტექსტური შეტყობინებები, სატელეფონო ზარები, წერილები ან სექსუალური შინაარსის მქონე კომუნიკაციის სხვა ფორმები. არავერბალური მაგალითები შეიძლება მოიცავდეს მზერას, ჟესტიკულაციას, ფოტოების ან სურათების გაზიარებას სექსუალური მინიშნებებით. ფიზიკური სექსუალური შევიწროების მაგალითებია არასაჭირო სექსუალური ხასიათის ფიზიკური კონტაქტი, როგორიცაა დაჭერა, კოცნის მცდელობა, მოფერება ან შეხება.

ექსპლუატაცია, როდესაც ვინმე ახორციელებს კონტროლს სხვა ადამიანზე და/ან მათ აქტივებზე საკუთარი „პირადი სარგებლისთვის“ და პირის სრულად ინფორმირებული თანხმობის გარეშე. პირადი სარგებელი შეიძლება იყოს ფსიქოლოგიური, რეპუტაციული ან კომერციული და წარმოადგენს ექსპლუატაციას, როდესაც პირის უფლებები იყიდება ან მოლაპარაკება ხდება სხვა პირის გამოხატული და სრულად ინფორმირებული თანხმობის გარეშე. მძლეოსნობის მაგალითები შეიძლება იყოს სპორტსმენის ასაკის ან ეროვნების თაღლითური არასწორი წარმოდგენა, სპორტსმენის სახელით თაღლითურად მოქმედება ან სპონსორობის ან დაფინანსების შეთანხმებების არაგონივრული წილის აღება. ექსპლუატაცია სხვადასხვა სახით გვხვდება. მაგალითებია სექსუალური ექსპლუატაცია, ფინანსური

ექსპლუატაცია და სპორტსმენების გრძელვადიანი კონტრაქტების გაფორმება, სანამ ისინი ჯერ კიდევ ბავშვები არიან.

გულგრილობა არის ფიზიკური ან ემოციური ზრუნვის მინიმალური დონის შეუსრულებლობა, რაც აზიანებს ან ქმნის ზიანის გარდაუვალ საფრთხეს. ეს ჩვეულებრივ ეხება მშობლების ან აღმზრდელების მიერ ბავშვებზე ზრუნვას, მაგრამ ასევე ეხება სხვა ადამიანებს,

რომლებსაც აქვთ ზრუნვის ვალდებულება სხვა პირის მიმართ, როგორიცაა მწვრთნელი ან გუნდის ლიდერი სპორტსმენთან მიმართებაში. ეს შეიძლება მოიცავდეს მაღალი

ტემპერატურის დროს არა საკმარისი წყლის მიწოდებას, ცივ ტემპერატურაზე შეუსაბამო ტანისამოსს, შეფერებელ საკვებს, განთავსების ან საფრთხის შემცველი მოგზაურობის მოწყობას.

ძალადობა, შევიწროება და ექსპლუატაცია შეიძლება ეფუძნებოდეს რასას, რელიგიას, ფერს, რწმენას, ეთნიკურ წარმომავლობას, სქესს, გენდერულ იდენტობას, სექსუალურ ორიენტაციას, ასაკს, შეზღუდულ შესაძლებლობებს, სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას და სპორტულ შესაძლებლობებს ან რომელიმე ამ მახასიათებლის კომბინაციას. ეს შეიძლება იყოს ერთი კონკრეტული ინციდენტი ან მოვლენების სერია, პირადი ან ონლაინ, მიზანმიმართული, არასასურველი ან იძულებითი. ბულინგის, ზეწოლის, შეურაცხყოფისა ან ექსპლუატაციის ყველა სხვა შემთხვევა უნდა განიხილებოდეს იმავე გზით ამ პოლიტიკის პირობების შესაბამისად.

შეურაცხყოფის, შევიწროების ან ექსპლუატაციის რომელიმე ფორმას შეიძლება მოიცავდეს ფინანსური ძალადობის ასპექტიც. შესაძლოა პირი აიძულონ ხელი მოაწეროს კონტრაქტებს ან შეთანხმებებს, რომლებიც სხვებს ფინანსურ სარგებელს მოუტანს. იძულების ნებისმიერი ელემენტი შეიძლება იყოს შეურაცხყოფა, შევიწროება ან ექსპლუატაცია, თუ პირი ბავშვია, თუ პირმა არ მისცა ვინმეს უფლებამოსილება იმოქმედოს მისი სახელით, ან თუ პირს არ მიუღია სათანადო რჩევა ხელშეკრულების პირობების შესახებ დამოუკიდებელი პროფესიონალისგან.

შეიძლება იყოს შემთხვევები, როდესაც ქმედებები, რომლებიც შეიძლება არ იყოს შეურაცხმყოფელი ერთი ადამიანისთვის, შეიძლება იყოს შეურაცხმყოფელი ან საზიანო,

ძალადობის მსხვერპლი ადამიანის მოწყვლადობის გამო. ეს შეიძლება გამოწვეული იყოს პირის ასაკით, შესაძლებლობებით ან დაუცველობის სხვა ფორმით.

შეურაცხყოფა, შევიწროება და ექსპლუატაცია ხშირად გამოწვეულია მინდობილი პირის მიერ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების შედეგად, რაც ნიშნავს გავლენის, ძალაუფლების ან ავტორიტეტის პოზიციის მქონე პირის მიერ ძალაუფლების არასწორ გამოყენებას სხვა პირის წინააღმდეგ. ეს უმეტეს წილად ხდება ასაკობრივი სხვაობის დროს, მაგრამ ეს ასევე შესაძლებელია თანატოლებს - მსგავსი ასაკის ადამიანებს შორისაც მოხდეს. შეიძლება იყოს შეურაცხყოფა სპორტსმენებს ან მწვრთნელებს, ოფიციალურ პირებს ან მძლეოსნობაში ჩართულ ნებისმიერ სხვა პირებს შორისაც. ეს ხანდახან მოიხსენიება თანატოლებთან

შეურაცხყოფად. მსგავსი სიტუაცია გადაჭრილი უნდა იქნას ზუსტად ისევე, როგორც სხვა სახის მოვლენები. ძალადობა ასევე შეიძლება განხორციელდეს ოჯახის წევრების მიერ, როგორიცაა მშობლები, პარტნიორები და და-ძმები.

ბავშვი - "ბავშვი" ან "შვილები" არის პირი ან პირთა ჯგუფი, რომლებსაც ჯერ არ მიუღწევიათ 18 წლის ასაკისთვის.

უსაფრთხოება - ეს არის მოწყვლადი პირების, ბავშვებისა და მოზარდების დაცვის პროცესი ძალადობის, შევიწროებისა და ექსპლუატაციისგან. უსაფრთხო და მისაღები გარემოს შექმნა, სადაც ყველას პატივს სცემენ და აფასებენ, არის საფუძველია მიზანი. მძლეოსნობაში ჩართულ ყველა ადამიანს აქვს თავისი როლი იმაში, რომ აქტიურად აღკვეთოს ძალადობა, შევიწროება და ექსპლუატაცია, მოუსმინოს ბავშვებისა და ზრდასრულების მოხსენებებს მათი გამოცდილების შესახებ და უსაფრთხოდ და სრულად უპასუხოს მას, თუ პრობლემა არსებობს.

პოლიტიკის ფარგლები

ეს პოლიტიკა ვრცელდება საქართველოს მძლეოსნობის ეროვნულ ფედერაციაზე, მასში გაწევრიანებულ სპორტსმენებზე, ოფიციალებზე, პერსონალსა და საქართველოს მძლეოსნობის ერვნულ ფედერაციასთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა პირზე. ეს მოიცავს თანამდებობის პირებს, მოხალისეებს, სპორტსმენთა გარემოცვის წევრებს, მშობლებს, მზრუნველებს და მძლეოსნებთან დაკავშირებულ ნებისმიერ ადამიანს საქართველოში. ყველა, ვისაც ეს

პოლიტიკა ეხება, უნდა დაექვემდებაროს ამ პოლიტიკას. ამ პირების მიერ ამ პოლიტიკის ნებისმიერი დარღვევა ექვემდებარება პოტენციურ დისციპლინარულ მოქმედებებს.

პრობლემის შესახებ მოხსენება

ყველა პასუხისმგებელია, რომ არავიზე განხორციელდეს ძალადობა, შევიწროება ან ექსპლუატაცია. ამიტომ, თუ ვინმეს აქვს რაიმე ეჭვი, რომ ბავშვი ან ზრდასრული შეიძლება იყოს შეურაცხყოფის, შევიწროების ან ექსპლუატაციის მსხვერპლი, რაიმე ფორმით, ან სხვა პირის ქცევასთან დაკავშირებით, მან უნდა შეატყობინოს ეს ეჭვი ფედერაციის უსაფრთხოების

ოფიცერს, რათა მან შეძლონ შეფასება და სათანადოდ მოქცევა. ასევე შეიძლება საჭირო გახდეს პოლიციის ან სოციალური სერვისების ჩართვა და ფედერაციის უსაფრთხოების ოფიცერი შესაბამისად იმოქმედებს და კოორდინაციას გაუწევს საჭირო ქმედებებს.

თუ პირს სერიოზული ზიანის უშუალო საფრთხე ემუქრება, არ უნდა მოხდეს პრობლემის შესახებ გადაუდებელი დახმარების სამსახურებისათვის შეტყობინების გადადება. არის

შემთხვევები, როდესაც პირის თანხმობა უნდა იქნას მოთხოვნილი საკითხის მოხსენებაზე, მათი ასაკისა და გონებრივი შესაძლებლობების გათვალისწინებით. 12 წლამდე ასაკის ბავშვის თანხმობის შესაძლებლობა განსხვავდება 12-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვისა და ზრდასრულისგან. თუ პირი უარს იტყვის თანხმობის მიცემაზე, მსგავსი საკითხის მოხსენება მაინც შესაძლოა გახდეს საჭირო. ასეთი თანხმობის გაცხადება განხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების შესაბამისად;

პრობლემა, ბრალდებები და სხვა საკითხები, რომლებიც ეცნობება ფედერაციას, უნდა გამოიძიოს იმ სტრუქტურებმა, რომელიც არ არის დაკავშირებული ამ საკითხთან. არ არის აუცილებელი, რომ გამომძიებელი იყოს სრულიად განცალკევებული ფედერაციისგან, თუ ეს არის „დაბალი კატეგორიის პრობლემა“. რაც უფრო სერიოზულია პრობლემა ან ბრალდება, მით უფრო აუცილებელია, რომ პირი, რომელიც იკვლევს მას, იყოს განცალკევებული ფედერაციისგან. თუ რაიმე პრობლემა პოლიციას გადაეცემა, მაშინ ისინი წარმართავენ გამოძიებას. ნებისმიერი გამოძიება, რომელსაც ფედერაცია განახორციელებს სერიოზული

პრობლემის გამო, უნდა ჩატარდეს იმ პირის მიერ, რომელიც არ არის დაკავშირებული ფედერაციასთან და აქვს კონტრაქტი, რათა უზრუნველყოს მიუკერძოებელი, ეფექტური და სწრაფი გამოძიება.

მოხსენების პროცედურა



ქცევის კოდექსი

აქვს შემდეგი ქცევის კოდექსი:

- მწვრთნელები;
- სპორტსმენები; და
- ნებისმიერი სხვა, რომელიც ფედერაციამ გადაწყვიტა ჰქონდეს.

ქცევის კოდექსი ეხება სხვებისადმი პატივისცემით, ღირსებით, თანასწორობითა და პატიოსნად მოპყრობას და ეფუძნება პრინციპს, რომ ყველას აქვს ღირებულება და ღირსია პატივისცემისა. შექმნილია იმისთვის, რომ მძლეოსნობასთან დაკავშირებულ ყველა ადამიანისათვის უზრუნველყოს ის ქცევა, რომელსაც ფედერაცია მათგან მოელის. ეს კოდექსები უნდა შეიცავდეს ამ ჯგუფებისთვის ნებისმიერი სასწავლო პროგრამის ნაწილს, რათა ყველამ იცოდეს კოდექსის არსებობის, ფედერაციის მოლოდინებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესაძლებლობის შესახებ, თუ ისინი არ იქნება დაცული. კოდექსი შემუშავდა სხვადასხვა ჯგუფებთან კონსულტაციის შემდეგ და რეგულარულად განახლდება;

ქცევის კოდექსები ხელმისაწვდომი იქნება შესაბამისი ჯგუფებისთვის და განთავსდება თვალსაჩინო ადგილზე (მაგ. განცხადებების დაფაზე), ვებგვერდზე ან დოკუმენტურად, როგორიცაა წევრობის განახლების ფორმები.

თუ პირმა იცის, რომ რომელიმე სხვა პირი არღვევს შესაბამისი კოდექსს, მაშინ ეს უნდა გადაეცეს უსაფრთხოების ოფიცერს, როგორც პრობლემა გამოძიებისთვის და პოტენციური დისციპლინარული პასუხისმგებლობისთვის. ქცევის კოდექსის ნებისმიერი დარღვევა შეიძლება განიხილებოდეს დისციპლინური პროცედურების ფარგლებში, თუ არ არსებობს სპეციალური წესები, რომლებიც გამოიყენება ფედერაციის მიერ.

სამუშაოზე მიღება

ყველა აპლიკანტს ნებისმიერ როლზე, იქნება ეს თანამშრომელი თუ მოხალისე, რომლიც მჭიდროდ თანამშრომლობს / მუშაობს ბავშვებთან, მოეთხოვება ჩაუტარდეს ისტორიის /

კრიმინალური ჩანაწერების შესახებ დეტალური შემოწმება. ყველა განმცხადებელს მოეთხოვება დაესწროს გასაუბრებას, წარადგინოს ორი რეკომენდატორი და დანიშვნის შემდეგ დაესწროს პირველად / შემსწავლელ სესიას. გასაუბრება მოიცავს კითხვებს პიროვნებისა და მათი გამოცდილების შესახებ, ისევე როგორც მათ ცოდნას უსაფრთხოების შესახებ. რეკომენდატორები დამოწმებული იქნება მათი უტყუარობისთვის და უნდა იყოს დამსაქმებლისგან, ამჟამინდელი ან წინა, და სხვა პირისგან, რომელსაც აქვს აპლიკანტის მხრიდან ბავშვებთან ან სპორტში მუშაობის გამოცდილებაზე ინფორმაცია. გაცნობითი სესიები უზრუნველყოფენ, რომ წარმატებული აპლიკანტი აცნობიერებდეს მათ როლს და პასუხისმგებლობებს, ასევე ფლობდეს ინფორმაციას უსაფრთხოების პოლიტიკისა და პროცედურების შესახებ.

ტრენინგი და განათლება

ფედერაციის პერსონალის ყველა წევრს, მოხალისეებს და ოფიციალურ პირებს ჩაუტარდებათ ტრენინგი უსაფრთხოების საკითხებში, მათ როლის შესაბამისად ორგანიზაციაში. ბავშვებთან მომუშავეებს ჩაუტარდებათ სპეციალიზებული ტრენინგი, რომელიც კონკრეტულად ეხება მათ პასუხისმგებლობას ბავშვების მიმართ. უსაფრთხოების სწავლება რეგულარულად უნდა ჩატარდეს მინიმუმ წელიწადში ერთხელ.

დისციპლინარული წარმოება

ამ პოლიტიკისა და ფედერაციის უსაფრთხოების წესების დარღვევა განიხილება ფედერაციის დისციპლინარული წარმოების შესაბამისად და უნდა მიემართოს შემდგომი მითითებისთვის.

პოლიტიკის გადახედვა

ეს პოლიტიკა გადაიხედება ყოველწლიურად;

მონიტორინგი

ამ პოლიტიკის მონიტორინგი და მისი იმპლემენტაცია რეგულარულად განხორციელდება ფედერაციის ან უსაფრთხოების დამოუკიდებელი ორგანოს მიერ, რომელსაც აქვს საჭირო გამოცდილება და ცოდნა ამ ამოცანის შესასრულებლად.

უსაფრთხოების წესები

ზოგადი პირობები

მძლეოსნობის საერთაშორისო ორგანიზაცია მოწოდებულია დაიცვას ყველა, ვისაც მსოფლიო მძლეოსნობის უსაფრთხოების პოლიტიკა ეხება, ძალადობისგან, შევიწროებისა და ექსპლუატაციისგან, რაც უზრუნველყოფს ყველას ღირსეულად და პატივისცემით მოპყრობას.

ეს წესები მიზნად ისახავს მათი კეთილდღეობის დაცვას, ვისთვისაც საქართველოს მძლეოსნობის ეროვნული ფედერაციის უსაფრთხოების პოლიტიკა ვრცელდება, შეურაცხყოფისაგან, შევიწროებისა და ექსპლუატაციისგან და პროცედურების დაწესებას პრობლემის, ეჭვების ან ბრალდებების დასარეგულირებლად.

უნდა აღინიშნოს, რომ დროდადრო მძლეოსნობის საერთაშორისო ორგანიზაციამ შეიძლება მოითხოვოს ინფორმაცია ფედერაციისგან კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც ექვემდებარება ამ წესებს. ამ შემთხვევაში, ფედერაციამ უნდა მიაწოდოს ასეთი ინფორმაცია.

ფარგლები

ეს უსაფრთხოების წესები („წესები“) ვრცელდება შემდეგზე:

- ფედერაციის და მასთან დაკავშირებული კლუბების/რეგიონების თანამშრომლებზე;
- წევრი ფედერაციის გამგეობის წევრებზე;
- ვინც მოხალისეობს ფედერაციაში და მასთან ასოცირებულ კლუბებზე;
- ფედერაციის და მასთან ასოცირებული კლუბების/რეგიონების წევრების მშობლებზე, რომლებიც 18 წლამდე არიან;
- სხვა პირებზე, რომლებიც არიან სპორტსმენის გარემოცვაში ან სპორტსმენის დამხმარე პერსონალი, მათ შორის მენეჯერები, სამედიცინო პერსონალი და ოჯახის წევრები; და
- ნებისმიერი სხვა, ვინც წერილობით ეთანხმება, რომ მასზე გავრცელდეს ეს წესები;

ეს პირები ამ წესებში მოხსენიებულია, როგორც „მონაწილეები“. ასევე, ფედერაციასთან ასოცირებული კლუბები / რეგიონული ორგანიზაციები, ყველა კლუბი / რეგიონი, რომელიც შედის ფედერაციის იურისდიქციაში.

ყველა მონაწილე პასუხისმგებელია ამ წესების შესრულებაზე და თანხმდება:

- არ ჩაერთონ აკრძალულ ქმედებებში, როგორც ეს აღწერილია ქვემოთ მე-3 ნაწილში;
- შეასრულოს ფედერაციის ქცევის კოდექსი(ებ)ი;
- შეასრულოს მსოფლიო მძლეოსნობის უსაფრთხოების პოლიტიკა;
- შეასრულოს ფედერაციის უსაფრთხოების პოლიტიკა;
- შეასრულონ ამ წესების პირობები, მაშინაც კი, როცა ისინი აღარ იქნებიან მონაწილე, რამდენადაც რაიმე ვალდებულება შეიძლება დარჩეს ძალაში ან შეიძლება წარმოიშვას მას შემდეგ, რაც ისინი აღარ არიან მონაწილე, მაგრამ მოხდა ამ თარიღამდე პერიოდში.

თითოეული მონაწილის პასუხისმგებლობაა გაიგოს და შეასრულოს ამ წესების მოთხოვნები. ამ წესების იგნორირება არ შეიძლება იქნებს განხილული, როგორც მათი დარღვევის პროცედურების დაცვად.

აკრძალული ქმედებები

ქვემოთ ჩამოთვლილი ქმედებები აკრძალულია:

- ნებისმიერი სისხლის სამართლის დანაშაული ან სხვა მოქმედი კანონების ან რეგულაციების დარღვევა;
- ნებისმიერი ქცევა, რომელიც ზიანს აყენებს ან საფრთხეს უქმნის სხვა პირის ფიზიკურ ან ფსიქიკურ კეთილდღეობას ან უსაფრთხოებას;
- ყველაფერი, რაც წარმოადგენს მსოფლიო მძლეოსნობის უსაფრთხოების პოლიტიკის ან ფედერაციის უსაფრთხოების პოლიტიკის ან მასთან ასოცირებული კლუბის / რეგიონული ორგანიზაციების უსაფრთხოების პოლიტიკას ან ქცევის კოდექსების დარღვევას;
- უმოქმედობა, როდესაც ცნობილია რაიმე დარღვევის ან დარღვევის ეჭვის შესახებ;
- პრობლების, ეჭვის ან ბრალდებების შესახებ მოხსენების წარმოუდგენლობა ფედერაციის ან მასთან ასოცირებული კლუბის უსაფრთხოების პოლიტიკის შესაბამისად; და/ან
- დახმარება, წახალისება, დამალვა, დაფარვა ან რაიმე ქცევის ჩართვა, რომელიც შეიძლება მოიცავდეს ამ წესების დარღვევას ან დარღვევის მცდელობას.

აკრძალული ქცევა შეიძლება იყოს სისხლის სამართლის დანაშაული და/ან სხვა მოქმედი კანონების დარღვევა. ეს წესები მიზნად ისახავს შეავსოს ასეთი კანონმდებლობა მძლეოსნობის სპორტში ჩართული ქცევის შემდგომი წესებით.

ფედერაციამ უნდა განიხილოს უნდა გადაეცეს თუ არა რაიმე აკრძალული ქმედების შესახებ ინფორმაცია ადგილობრივ სამართალდამცავ ორგანოებს. ასეთი მიმართვა გასათვალისწინებელია მაშინ, როდესაც შემთხვევას გამოვლინდა ფედერაციის მიერ საკითხის გამოძიების დროს.

შესაძლო აკრძალული ქცევის შესახებ შეგნებულად ყალბი შეტყობინების წარდგენა ჩაითვლება ამ წესების დარღვევად.

საქმის მართვის ჯგუფი

ფედერაცია შექმნის პირთა ჯგუფს, რომლებსაც შეუძლიათ განიხილონ საქმეები, რომლებიც წარმოიქმნება ამ წესების შესაბამისად („საქმის მართვის ჯგუფი“). საქმის მენეჯმენტის ჯგუფი შეიკრიბება იმდენჯერ, რამდენადაც საჭიროა და ექნება წერილობითი სამუშაო პროცედურა, სადაც განმარტავს რა არის მათი მიზანი და როლი, ასევე აისახება რა სიხშირით განხორციელდება ამ ჯგუფის შეხვედრა, შეხვედრის ფორმატი და დაკავშირებული პირების ჩართულობის პროცედურას. საქმის მართვის ჯგუფს შეუძლია შეხვედრა პირადად, ელ. ფოსტით, დისტანციური პლატფორმების (როგორიცაა Zoom, Teams ან Google Meet) ან ტელეფონით და რათა შესაძლებლობა ჰქონდეს დაუყოვნებლივ განიხილოს გადაუდებელი საკითხი. საქმის მართვის ჯგუფი განიხილავს პოტენციურად აკრძალული ქცევის ყველა შემთხვევას, უნდა დაწესდეს თუ არა რაიმე სანქციები და ნებისმიერ განცხადებას ფიზიკური პირებისგან, რომლებიც ითხოვენ მათი სანქციის შეცვლას ან მოხსნას. ყველა შეხვედრისა და გადაწყვეტილების ოქმები ინახება უსაფრთხოდ და კონფიდენციალურად მინიმუმ ათი წლის განმავლობაში, წერილობით თუ ციფრულ ფორმატში.

გამოძიება და რისკის შეფასება

თუ ფედერაციას ეცნობება რომელიმე მონაწილის თაობაზე, რომელიც ეწევა აკრძალულ საქციელს და არსებობს გონივრული ეჭვი იმის დასაჯერებლად, რომ ეს ქმედება მოხდა, საჭირო იქნება საკითხის გამოძიება და მონაწილის გადაცემა საქმის მართვის ჯგუფისთვის.

ფედერაცია ან საქმის მართვის ჯგუფი დანიშნავს შესაბამის პირს გამოძიებისთვის, რომელიც დამოუკიდებელი უნდა იყოს ინციდენტისგან. საქმის მართვის ჯგუფს უფლება აქვს დააწესოს შუალედური სანქცია იმ მონაწილეზე, რომელიც სავარაუდოდ ჩართული იყო აკრძალულ

ქმედებებში გამოძიების დაწყებამდე, თუ საქმის მართვის ჯგუფს მიაჩნია, რომ მონაწილე მძლეოსნობაში სხვებისთვის ზიანის მიყენების უშუალო რისკს წარმოადგენს.

მონაწილემ უნდა მიაწოდოს ფედერაციას (მაგალითად, გამომძიებელი, რომელიც მოქმედებს ფედერაციის სახელით) მოთხოვნილი და/ან საქმის მართვის ჯგუფს ინფორმაცია იმ ქცევის შესახებ, რომელსაც ეხება პრობლემა. ზოგიერთ შემთხვევაში, მონაწილეებს შეიძლება ჩაუტარდეთ გასაუბრება (პირადად ან ონლაინ) უშუალოდ მათგან ინფორმაციის მისაღებად.

მონაწილეს უნდა მიეწოდოს დეტალები, რომლებიც ფედერაციამ ან საქმის მართვის ჯგუფმა შეაგროვა ნებისმიერი გამოძიების შემდეგ. მონაწილეს მიეწოდება ინფორმაცია, რომელსაც დაეყრდნობა საქმის მართვის ჯგუფი იმის განსაზღვრისას, თუ რა უნდა იყოს შემდეგი ქმედება. ყველა ეს ინფორმაცია კონფიდენციალურად უნდა იყოს დაცული მონაწილის მიერ. მას შეუძლიათ მხოლოდ ამის გაზიარება პროფესიონალ მრჩევლებთან, თუ ეს აუცილებელია.

მონაწილეს მიეცემა შესაძლებლობა უპასუხოს ეჭვს იმ ინფორმაციის მიღების შემდეგ, რომელსაც დაეყრდნობა საქმის მართვის ჯგუფი. მონაწილის პასუხი და ყველა ინფორმაცია გადაეცემა საქმის მართვის ჯგუფს, რათა განიხილოს და გადაწყვიტოს შესაბამისი მოქმედების კურსი.

სანქციები

საქმის მართვის ჯგუფს აქვს უფლება დააწესოს სანქცია იმ მონაწილეზე, რომელიც შესაძლოა ჩაერთო აკრძალულ ქცევაში („სანქცია“). როდესაც განიხილავს დაწესდეს თუ არა სანქცია ვინმეზე, რომელიც განიხილება მძლეოსნობაში ჩართული სხვებისთვის ზიანის მიყენების პოტენციურ რისკად, საქმის მართვის ჯგუფს შეუძლია განიხილოს მხოლოდ მონაწილისთვის მიწოდებული ინფორმაცია და მათი პასუხი.

საქმის მართვის ჯგუფს ასევე აქვს უფლება ძალაში დატოვოს უკვე დაწესებული სანქცია. თუ უკვე დაწესებულია დროებითი სანქცია, შესაძლოა სანქციის პირობები შეიცვალოს, რათა უზრუნველყოფილი იყოს შესაბამისი დამცავი ზომები.

სანქცია შეიძლება იყოს შემდეგი:

- მძლეოსნობის ზოგიერთი ან ყველა ღონისძიებიდან (მათ შორის შეჯიბრებები, ვარჯიშები, მმართველობითი როლები, სოციალური აქტივობები, გუნდური და/ან მედია აქტივობები) ამოღება შუალედური პერიოდით, გარკვეული დროის ან განუსაზღვრელი ვადით;
- ფინანსური ჯარიმა;
- ტრენინგის ან განათლების მოთხოვნა(ები); ან
- ნებისმიერი სხვა დამცავი ღონისძიება, რომელიც მიჩნეულია სიტუაციის შესაფერისად.

სანქცია შეიძლება დაწესდეს, როდესაც საქართველოს მძლეოსნობის ეროვნულ ფედერაციას ეცნობება, რომ მონაწილეს:

- ბრალი წაუყენეს სისხლის სამართლის დანაშაულში;
- მიმდინარეობს გამოძიება სამართალდამცავი ორგანოების ან სხვა ორგანოების მხრიდან, რომლებიც დაკავშირებულია ბავშვთა ან მოზარდთა სოციალურ ზრუნვასთან;
- გაფრთხილებული იყო ქცევის შესახებ, რომელიც პოტენციურად დააზარალებს პირს; და/ან
- ნებისმიერი მძლეოსნობის მონაწილე მოიქცა ისე, რომ ქმედება შეიცავს და აღიქმება პოტენციურ რისკფაქტორად.

სანქცია უნდა იყოს გონივრული, პროპორციული იმ ქცევის მიმართ, რომელიც იყო სავარაუდო და მხედველობაში უნდა იქნას მიღებული შემდეგი:

- არის თუ არა რომელიმე მონაწილე ან სხვა პირი ზიანის საფრთხის ქვეშ;
- სავარაუდო ჩადენილი ქმედების სერიოზულობა;
- პოტენციურად რისკის მომტანია მონაწილის ქცევა, როგორც მძლეოსნობის საზოგადოებაში, ასევე ფართო საზოგადოებაში;
- არის თუ არა სანქცია საჭირო ან სასურველი იმ მიზნით, რომ ფედერაციის, პოლიციის ან სხვა შესაბამისი უწყების ან ორგანოს მიერ შეუფერხებლად წარიმართოს ნებისმიერი სანქცირების ან გამოძიების პროცესი პროპორციული საჭიროების გათვალისწინებით; და
- ნებისმიერი სხვა შესაბამისი გარემოება.

სანქციის დაწესების განხილვისას უნდა შეფასდეს ზემოაღნიშნული კრიტერიუმები, გაკეთდეს შენიშვნა გადაწყვეტილების შესახებ და იმ კრიტერიუმების საფუძველი, რომლებზედაც დაწესდა სანქცია.

როდესაც სანქცია დაწესდება, მონაწილეს უნდა ეცნობოს:

- გადაწყვეტილება;
- მისი დაკისრების მიზეზები;
- პირობები;
- ძალაში შესვლის თარიღი;
- როდის დასრულდება (თუ დაწესებულია დასრულების თარიღი ან დარჩება გამოძიების დასრულებამდე, როდესაც ჩაითვლება დასრულებულად); და
- სანქციის დადგენის დღიდან 21 დღის ვადაში გასაჩივრების უფლება.

სანქციის დეტალები ასევე გაეგზავნება მონაწილის კლუბს / რეგიონულ ორგანიზაციას და ნებისმიერ სხვა უწყებას, ხელმძღვანელობას ან პირს, რომელისთვისაც, სავარაუდოდ, უნდა იყოს ცნობილი სანქციის შესახებ მისი აღსრულების უზრუნველსაყოფად. გადაწყვეტილებების შესახებ ინფორმაციია და როგორ და ვის უნდა მიეწოდოს ისინი;

გასაჩივრება

საქმის მართვის ჯგუფის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ფედერაციის ან მონაწილის მიერ, რომელიც არის საქმის მართვის ჯგუფის გადაწყვეტილების ობიექტი. საქმის მართვის ჯგუფის გადაწყვეტილება ძალაში რჩება ნებისმიერი საჩივრის განხილვის დროს.

ეჭვის თავიდან აცილების მიზნით, განსაზღვრული ან განუსაზღვრელი ვადით სანქციის დაწესების ან შუალედური სანქციის დაწესების შესახებ საქმის მართვის ჯგუფის გადაწყვეტილება შეიძლება გაასაჩივროს ფედერაციამ ან მონაწილემ.

გასაჩივრების შეტყობინება უნდა გაეგზავნოს ფედერაციას და მიღებული იყოს 21 კალენდარული დღის განმავლობაში საქმის მართვის ჯგუფის მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან. გასაჩივრების შესახებ შეტყობინების მიღებიდან 14 კალენდარული დღის

განმავლობაში ფედერაცია დანიშნავს სააპელაციო კოლეგიას, რომელშიც არ იქნება საქმის მართვის ჯგუფის წევრები („სააპელაციო კოლეგია“).

თუ ფედერაცია გადაწყვეტს საქმის მართვის ჯგუფის გადაწყვეტილების გასაჩივრებას, მონაწილეს უნდა ეცნობოს სააპელაციო ცნობით. ფედერაციამ ასევე უნდა აცნობოს ორგანიზაციის შესაბამის პირს, რომ გადაწყვეტილება გასაჩივრდება. ფედერაციის აღმასრულებელ საბჭოს (გამგეობას) შეიძლება ზოგჯერ მოეთხოვოს გადაწყვეტილების გასაჩივრების ნებართვის გაცემა.

სააპელაციო კოლეგია, როგორც წესი, იღებს მხოლოდ მატერიალური ფორმით შესრულებულ საჩივარს. როგორც წესი, განიხილება თავდაპირველმა საქმის მართვის ჯგუფმა სწორად გაითვალისწინა თუ არა ინფორმაცია მომჩივანთან მიმართებით, არასწორად იქნა ინტერპრეტირებული ან ვერ გამოიყენა ან არასწორად გამოიყენა ეს წესები ან მოქმედი კანონმდებლობა, ან მივიდა გადაწყვეტილებამდე, რომელსაც არ არ მიიღებდა გონივრული გადაწყვეტილების მიმღები პირი (პასუხისმგებლობასთან, სანქციასთან, გარანტიებთან ან სხვა შესაბამის საკითხთან დაკავშირებით). ძალიან გამონაკლის შემთხვევებში სააპელაციო კოლეგია დაადგენს, რომ საჩივარი განიხილოს პირადად დასწრებით. მხოლოდ ძალიან

გამონაკლის შემთხვევებში მოხდება მოსმენა ხელახლა და განიხილება, როგორც სრულიად ახალი სხდომა ახალი კოლეგიის წევრებით და თუ მოსმენა ჩატარდა პირადად, მოწმეები საჭიროებენ ხელახლა მოსმენას ახალი კოლეგიის მიერ.

თავდაპირველი გადაწყვეტილება შეიძლება დარჩეს ძალაში ან შეიძლება გამოიცეს ახალი გადაწყვეტილება პირველადი გადაწყვეტილების შესაცვლელად, რომელიც გაზრდის ან შეამცირებს თავდაპირველ სანქციას, ან საკითხი შეიძლება გადაეცეს საქმის მართვის ჯგუფს განმეორებით განსახილველად.

თუ სანქცია გაუქმდება ან შეიცვლება სააპელაციო კოლეგიის მიერ ან საქმის მართვის ჯგუფში გადაგზავნის შემდეგ, აღნიშნული ეცნობება მონაწილეს და ყველას, ვინც ადრე იყო ინფორმირებული მისი არსებობის შესახებ, უნდა ეცნობოს მისი ცვლილების ან გაუქმების შესახებ 15 დღის ვადაში.

გასაჩივრება ჩატარდება დაჩქარებულად და თუ ყველა მხარე არ შეთანხმდება, ან სამართლიანობა სხვაგვარად არ კარნახობს, სააპელაციო განხილვა დაიწყება სააპელაციო კოლეგიის დანიშვნიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღისა.

სააპელაციო კოლეგიის მიერ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება იქნება საკითხის სრული, საბოლოო და ყოვლისმომცველი განხილვა და სავალდებულოდ შესასრულებელი იქნება ყველა მხარისთვის. ყველა მხარე გამოუხმობად უარს აცხადებს გადაწყვეტილების ნებისმიერი სხვა ფორმის გასაჩივრების, გადახედვის ან დახმარების უფლებაზე სასამართლოს მიერ ან სასამართლოში, რამდენადაც ასეთი უარის თქმა შეიძლება მართებულად განხორციელდეს.

გადაწყვეტილებები

ნებისმიერი გადაწყვეტილება (მიღებული საქმის მართვის ჯგუფის თუ სააპელაციო კოლეგიის მიერ) მიიღება წერილობით და გაეგზავნება ყველა მონაწილე მხარეს.

გადაწყვეტილება მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში გახდება საჯარო. ეს შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ იმ პირთან, რომელსაც ზიანი მიაყენა აკრძალულმა ქცევამ და საკითხში ჩართული სხვა უწყებებთან შეთანხმებით. ნებისმიერი სააგენტო და პირი, რომელმაც უნდა იცოდეს გადაწყვეტილება, ინფორმირებული იქნება საკითხის შედეგზე,

თუმცა ინფორმაციის კონფიდენციალურობისა და გამჟღავნების მკაფიო წესებით. ის წესი, რომლითაც განხორციელდება გადაწყვეტილების გასაჯაროება, ცხადი უნდა იყოს მოსმენის მხარეებისთვის.

თუ მონაწილე გათავისუფლდება ყველა პასუხისმგებლობისგან, მაშინ გადაწყვეტილება შეიძლება გამოქვეყნდეს მხოლოდ იმ მონაწილის თანხმობით, რომელიც არის გადაწყვეტილების საგანი. პასუხისმგებლობის გაუქმების ფაქტი შესაძლოა გასაჯაროვდეს.

შესაძლოა საჭირო გახდეს გადაწყვეტილების გაზიარება სხვა ორგანოებთან ან სააგენტოებთან, თუ ფედერაციას მოეთხოვება სხვა ორგანოს ინფორმირება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. შეიძლება არსებობდეს სხვა ორგანოები, რომლებსაც უნდა აცნობონ მოსმენის

შედეგის შესახებ, მაშინაც კი, თუ გადაწყვეტილება არის ეხება პირის სანქცირებას, არამედ ემსახურება სხვა სახის გარანტიების დანერგვას.

ფედერაციას შეიძლება მოეთხოვოს ევროპის მძლეოსნობის ასოციაციისა და მსოფლიო მძლეოსნობის ორგანიზაციის ინფორმირება ნებისმიერი სანქციის შესახებ.

თუ მსოფლიო მძლეოსნობის ორგანიზაცია ითხოვს გადაწყვეტილებას ფედერაციისგან, ფედერაციამ უნდა გაუგზავნოს მსოფლიო მძლეოსნობის ორგანიზაციას ამ საკითხთან დაკავშირებით მოთხოვნილი ნებისმიერი დამატებითი.

ქცევის კოდექსი

ეს ქცევის კოდექსი არის მკაფიო დებულება საქართველოს მძლეოსნობის ეროვნული ფედერაციის მიერ მისი ღირებულებების, ქცევის მოსალოდნელი სტანდარტებისა და კეთილსინდისიერებისადმი მათი პერსონალის, მწვრთნელების (რაც გულისხმობს სპორტსმენთა დამხმარე პერსონალს), ოფიციალური პირების, მოხალისეების ან ყველა, მძლეოსნებთან ასოცირებულ პიროვნებების ჩართულობის შესახებ.

შემდეგი წესები ვრცელდება ყველაზე ვინც დაკავშირებულია მძლეოსნობასთან:

- პატივი ეცით ყველას, დააფასეთ თითოეული პიროვნების ღირსება და ღირსეულად მოეპყარით ყველას. წარმოაჩინეთ განსხვავებანი და ხელი შეუწყვეთ ჩართულობას. მოექეცით ყველას თანაბრად და მოერიდეთ „რჩეულების“ ყოლას.
- ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია რასის, ფერის, გენდერული იდენტობის, სექსუალური ორიენტაციის, ასაკის, შეზღუდული შესაძლებლობების, რელიგიის, ეთნიკური წარმომავლობის, ოჯახური მდგომარეობის, რწმენის ან სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის საფუძველზე მიუღებელია და დაუშვებელია.
- ითანამშრომლეთ მძლეოსნობაში ჩართულ ყველა პიროვნებასთან და ხელი შეუწყეთ შევიწროების, შეურაცხყოფისა და ექსპლუატაციისგან თავისუფალი გარემოს შექმნას.
- ნულოვანი ტოლერანტობა ნებისმიერი აკრძალული ნივთიერების გამოყენების მიმართ. ხელი შეუწყვეთ ჯანსაღ კონკურენციას და შეატყობინეთ შესაბამის ორგანოს წამლების / ნარკოტიკების აკრძალული მოხმარების ნებისმიერი საეჭვო გამოვლენის შესახებ.
- მოუსმინეთ მათ, ვინც აფიქსირებს პრობლემას და სწრაფად აცნობეთ შესაბამის პირს ეს შეშფოთება, არასწორი ქცევა ან დაზიანებები.
- დაიცავით საქართველოს მძლეოსნობის ეროვნული ფედერაციის უსაფრთხოების პოლიტიკა და სხვა წესები.
- აჩვენეთ მაგალითი, მოიქეცით სათანადოდ და იყავით კარგი მისაბაძი მაგალითი, განსაკუთრებით ბავშვებზე პასუხისმგებლობის დროს.
- მოუსმინეთ თავაზიანად მათ, ვინც ასწავლის, ავარჯიშებს ან აწვდის რჩევებს, მხარდაჭერას ან ხელმძღვანელობს.

- მოწევა და ალკოჰოლის მოხმარება თავიდან უნდა იქნას აცილებული მძლეოსნობის შეჯიბრებებზე დასწრებისას, განსაკუთრებით მაშინ, როცა პასუხისმგებელნი არიან ბავშვებზე ან სპორტსმენების პროფესიულ მხარდაჭერაზე.
- იყავით პასუხისმგებელი საკუთარ ქცევაზე და ქმედებებზე. იყავით პუნქტუალური, კარგად მომზადებული და შესაბამისად აღჭურვილი.
- დაიცავით მწვრთნელების (რაც გუისხმობს სპორტსმენის ნებისმიერ დამხმარე პერსონალს), ოფიციალური პირების, მენეჯერების და სხვა მოხალისეების მითითებებს.
- დააფასეთ ყველას დრო, ძალისხმევა და უნარები. წაახალისეთ და მხარი დაუჭირეთ ყველას სპორტულ მცდელობებს.

მწვრთნელები და სპოტსმენების სხვა დამხმარე პერსონალი

- იყავით სათანადო კვალიფიკაციის, კრიმინალური წარსულის გარეშე;
- მწვრთნელობა ყოველთვის უნდა იყოს ასაკის შესაბამისი და აკმაყოფილებდეს სპორტსმენის მოთხოვნებს გამოცდილებისა და შესაძლებლობების თვალსაზრისით.
- ვარჯიშზე ან შეჯიბრზე ყოველთვის უნდა იყოს სპორტსმენების რაოდენობისა და ასაკთან მწვრთნელების შესაბამისი რაოდენობა.
- არ არის მიზანშეწონილი მწვრთნელებსა და სპორტსმენებს შორის ინტიმური ურთიერთობის დამყარება. მკაცრი საზღვრები უნდა იყოს დაცული მწვრთნელსა და სპორტსმენს შორის; თუ ამ უგულვებელყოფა დაშვებულია, ეს იწვევს სირთულეებს როგორც ინდივიდებისთვის, ასევე თანაგუნდელებისთვის და საზოგადოების სხვა წევრებისთვის.
- მწვრთნელს (ან სხვა სპორტსმენთა დამხმარე პერსონალს ან ზრდასრულს) და 18 წლამდე სპორტსმენს შორის ინტიმური ურთიერთობა შეიძლება იყოს უკანონო და არ უნდა იქნას დაშვებული ასეთი ურთიერთობის განვითარება.
- მკაცრად რეკომენდირებულია, რომ მწვრთნელებს და ოფიციალებს არ მიეცეთ უფლება დაამყარონ ინტიმური ურთიერთობები ერთმანეთში და/ან 18 წელზე უფროსი ასაკის სპორტსმენებს შორის.
- მოერიდეთ მარტო ყოფნას ბავშვ სპორტსმენთან; არ წაიყვანოთ ისინი მანქანაში დამოუკიდებლად; არ წაიყვანოთ ისინი მწვრთნელის სახლში; ნუ გაიზიარებთ საძინებელს ბავშვთან.

- თუ ვარჯიშის დროს აუცილებელია სპორტსმენთან შეხება, უნდა განემარტოთ და თანხმობა უნდა იქნას მიღებული მწვრთნელის შეხებამდე. თუ შესაძლებელია, ამ განხილვაში უნდა ჩაერთონ ბავშვის მშობლები, დანიშნული აღმზრდელები ან სხვა პასუხისმგებელი ზრდასრული პირები.
- თუ საჭიროა გამოსაცვლელი ოთახების ზედამხედველობა, მაშინ მოზრდილებმა ეს უნდა გააკეთონ ერთსქესიან წარმომადგენლებთან.
- დარწმუნდით, რომ ინვენტარი სათანადოდ არის შენახული; სპორტსმენებმა გააცნობიერონ თავიანთი პასუხისმგებლობა საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. დარწმუნდით, რომ სპორტსმენებს ასწავლიან მძლეოსნური სახიფათო ინვენტარის მართვას და ყოველთვის დაიცავით ეს წესები.
- დარწმუნდით, რომ სპორტსმენები აცნობიერებენ მწვრთნელების მოლოდინებს მათ მიმართ, ისევე როგორც ის, რისი მიღებაც მათ, როგორც სპორტსმენებს, შეუძლიათ მწვრთნელებისგან.
- თუ მწვრთნელს სთხოვს სპორტსმენი, რომელსაც უკვე წვრთნის სხვა, შემდგომი საწვრთნელი პროცესი მასთან გააგრძელოს, მართებულია დაუკავშირდეს ამ მწვრთნელს საკითხის განსახილველად.
- წაახალისეთ კარგი სამუშაო ურთიერთობები ყველა სპორტსმენთან ურთიერთპატივისცემისა და ნდობის საფუძველზე.
- მოერიდეთ იყოთ კრიტიკული, დამამცირებელი ან სარკასტული ან ისეთი ქმედებები, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს სპორტსმენის თვითშეფასებაზე.

სპორტსმენები

- შეინარჩუნეთ მკაცრი ურთიერთობების საზღვრები მწვრთნელთან ან მძლეოსნობასთან დაკავშირებულ ნებისმიერ სხვა ზრდასრულთან. არ არის მიზანშეწონილი მწვრთნელს ან სხვა ოფიციალურ პირს (ან სხვა სპორტსმენთა დამხმარე პერსონალს) და სპორტსმენს შორის ურთიერთობის დამყარება.
- ყოველთვის შეატყობინეთ კლუბის შესაბამის პირს ან მშობელს ან მზრუნველს ნებისმიერი პრობლემის, ტრავმის, არასწორი ქცევის ან პრობლემის შესახებ.
- დარწმუნდით, რომელ ყოფნისთვის არის შენახული და რომ სპორტსმენებმა გააცნობიერეს თავიანთი უსაფრთხოება. არსებული, რომ სპორტსმენებს ასწავლიან სახი ფათო მძლეოსნობის აღჭურვილობის მართვას და ყოვ᾽ ლთვის დაიცავით ეს წესები.
- იცოდეთ, თუ როგორ უნდა მოექცე სახიფათო მძლეოსნობის აღჭურვილობას.

- აცნობეთ მწვრთნელებს თუ საჭიროა მძლეოსნობის ვარჯიშის ან ღონისძიების დატოვება მის დასრულებამდე.
- იცოდე შეჯიბრის წესები, დაიცავი ისინი, ითამაშე სამართლიანად და მიჰყევი სპორტულ წესებს;
- დაიცავით სპორტსმენობის ღირებულებები - სამართლიანობა, პატივისცემა და კეთილშობილება სხვების მიმართ - მოედანზე და მის ფარგლებს გარეთ.

სპორტსმენის მშობლები და მზრუნველები

- აცნობეთ შესაბამის პირებს თქვენი შვილის შესახებ ნებისმიერი შესაბამისი სამედიცინო ინფორმაციის შესახებ.
- დაესწარით თქვენი შვილის მძლეოსნობის ვარჯიშს ან ღონისძიებებს, სადაც ეს შესაძლებელია და აქტიურად დაინტერესდით.
- იყავით პოზიტიური და გამამხნევებელი; იცოდეთ, რომ თქვენი დამოკიდებულება და ქცევა გავლენას ახდენს თქვენს შვილზე და სხვა ბავშვების დამოკიდებულებაზე.
- ყოველთვის იცოდეთ სად არის თქვენი შვილი და ვისთან ერთად არის.
- მოერიდეთ მწვრთნელს სთხოვოთ, რომ წაიყვანოს თქვენი შვილი მწვრთნელის მანქანით, განსაკუთრებით თუ სხვა სპორტსმენი არ ახლავთ თან.
- მოერიდეთ თქვენს შვილს მწვრთნელის სახლში სტუმრობას თუ მშობელი ან მზრუნველიც არ არის ადგილზე.
- იყავით პროაქტიური თქვენი შვილის მძლეოსნობაში მონაწილეობასთან დაკავშირებით; შეამოწმეთ მწვრთნელების კვალიფიკაცია, კლუბის პოლიტიკა და ნებისმიერი სხვა პროფესიონალები, რომლებიც თქვენ შვილთან არის დაკავშირებული, როგორიცაა სამედიცინო პროფესიონალები ან გუნდის მენეჯერები.
- აცნობეთ მწვრთნელებს ან მოხალისეებს, თუ თქვენი შვილი არ იქნება ტრენინგზე ან ღონისძიებაზე.
- დარწმუნდით, რომ მწვრთნელებმა იცოდნენ ნებისმიერი სხვა წვრთნის შესახებ, რომელსაც თქვენი შვილი ღებულობს როგორც საქმის კურსში ჩაყენების, ასევე თავაზიანობის მიზნით, იმ მიზნით, რომ მწვრთნელს შეეძლოს უზრუნველყოს თქვენი შვილის მიმართ საუკეთესო მხარდაჭერის გამოვლენა.

უსაფრთხოების პოლიტიკის მოხსენების პროცედურა



უსაფრთხოების პოლიტიკის მოხსენების ფორმა

შენი ინფორმაცია	
სახელი	
როლი (ოფიციალი / მწვრთნელი / მშობელი)	
საკონტაქტო ინფორმაცია: მობილური ტელეფონის ნომერი ელ. ფოსტა	
ფედერაცია	
კლუბი / რეგიონული ორგანიზაცია	
მოხსენების თარიღი	

ინფორმაცია ბავშვზე ან ზრდასრულზე, ვისაც ეხება საკითხი	
სახელი	
დაბადების თარიღი	
სქესი	☐ მამრობითი ☐ მდედრობითი ☐ სხვა
მშობლის / მზრუნველის სახელ(ებ)ი	
საკონტაქტო ინფორმაცია: მობილური ტელეფონის ნომერი	

ელ. ფოსტა	
იყვნენ თუ არა მშობლები / მზრუნველები ინფორმირებული ინციდენტის შესახებ? თუ არა, რატომ?	
იყო თუ არა რომელიმე ქმედება შეთანხმებული მშობელთან / მზრუნველთან?	
ნებისმიერი სხვა შესაბამისი / სასარგებლო ინფორმაცია ბავშვზე ან ზრდასრულზე	

პრობლემის დეტალები	
ინციდენტის თარიღი და დრო	
დაკავშირებული სხვა პირების სახელები და სხვა როლი, რომელიც მათ აქვთ მძლეოსნობაში	
პრობლემის ბუნება (სექსუალური / ფინანსური / ჩაგვრა / გულგრილობა)	
წარმოადგინეთ ინციდენტის / პრობლემის დეტალები	
განხორციელებული ქმედებების დეტალები და ვის მიერ იქნა განხორციელებული	

საკითხის შესახებ შეატყობინეს თუ არა პოლიციას ან სოციალურ სამსახურებს თუ კი, გთხოვთ წარმოადგინოთ საკონტაქტო ინფორმაცია: ტელეფონის ნომერი ელ. ფოსტა	☐ კი ☐ არა
ბავშვის მიერ, თავისი სიტყვებით, ინციდენტის / პრობლემის შესახებ წარმოდგენილი დეტალები	
ინციდენტის / პრობლემის მოწმე	
მოწმის საკონტაქტო ინფორმაცია: მობილური ტელეფონის ნომერი ელ. ფოსტა	

განცხადება
ხელმოწერა…….. სახელი…… თარიღი……..

უსაფრთხოების ოფიცერი ……..

თარიღი…….

შენიშვნა: შევსებული ფორმა მოგვაწოდეთ შემდეგ მისამართზე
safeguarding@geoathletics.ge